პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის 2025 წლის 12 თვის საქმიანობის სტატისტიკა

/01 იანვარი - 29 დეკემბერი/

პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

სარჩევი

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლი 2

მოქალაქეთა მომართვიანობა 3

მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) 3

გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები 4

სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები 5

მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტი) შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება 6

სამსახურის მიერ გაცემული კონსულტაციები 7

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლი 8

შეჩერების მექანიზმი 9

სხვა სტატისტიკური ინფორმაცია 10

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა 12

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები 12

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ 2025 წლის ანგარიში 13

/2024 წლის 11 დეკემბერი - 2025 წლის 10 დეკემბერი/ 13

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა 13

საჯარო ინფორმაციაზე უარის გასაჩივრება 14

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა 14

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები 14

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა 15

ხარჯები 15

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა 15

საჯარო მონაცემთა ბაზები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება 15

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლი

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური შეისწავლის საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლების, სამართალდამცავ ორგანოთა მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას, საკუთარი ინიციატივით — გეგმური ინსპექტირების ფარგლებში და არაგეგმური ინსპექტირების, მათ შორის, დაინტერესებული პირების შეტყობინებისა და მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე.

მონაცემთა დამუშავებისას აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, სამსახური, გარდა ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისა, გამოსცემს რეკომენდაციებს და შესასრულებლად სავალდებულო დავალებებს.

სამსახური ახორციელებს სხვადასხვა პრევენციულ ღონისძიებას, კონსულტაციას უწევს დაინტერესებულ პირებს, მუშაობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე, მართავს საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებს, გამოსცემს სარეკომენდაციო ხასიათის სახელმძღვანელო მითითებებს და აქვეყნებს წლიურ და სპეციალურ ანგარიშებს მონაცემთა დაცვის მდგომარეობის, ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის შესახებ.

მოქალაქეთა მომართვიანობა

საანგარიშო პერიოდში[1] სამსახურმა მიიღო 1043 განცხადება/შეტყობინება, რომელთაგან 728 (70%) შეეხებოდა მონაცემთა დამუშავებას კერძო სექტორში, 206 (20%) — საჯარო უწყებებში, ხოლო 109 (10%) — სამართალდამცავ ორგანოებში.



მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება)

სამსახური საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლების, სამართალდამცავ ორგანოთა მიერ მონაცემთა დამუშავების კანონიერებას ამოწმებს გეგმურად და არაგეგმურად. „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2025 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 31 დეკემბრის №ბ / 1259 – 2024 ბრძანების მიხედვით, მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმება (ინსპექტირება) ხორციელდება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული შემოწმებების წლიური გეგმის შესაბამისად. მონაცემთა დამუშავების კანონიერების არაგეგმურ შემოწმებას (ინსპექტირებას) სამსახური ატარებს საკუთარი ინიციატივით, დაინტერესებული პირის შეტყობინების ან განცხადების საფუძველზე.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ჩაატარა მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) 271 ფაქტზე. მათგან 29% (78) ჩატარდა გეგმურად, ხოლო 71% (193) — არაგეგმურად.

[1] საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2025 წლის პირველი იანვრიდან 29 დეკემბრის ჩათვლით მონაცემებს.



გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები

სამსახურმა დაადგინა პერსონალურ მონაცემთა არაკანონიერი დამუშავების 691 ფაქტი, მათგან 103 ფაქტი გამოვლენილ იქნა 2024 წელს დაწყებული და საანგარიშო პერიოდში დასრულებული, ხოლო 588 ფაქტი — საანგარიშო პერიოდში დაწყებული და დასრულებული შემოწმების (ინსპექტირების) საფუძველზე. 587 (85%) შემთხვევა შეეხებოდა კერძო სექტორში, 92 (13%) — საჯარო დაწესებულებებში, ხოლო 12 (2%) — სამართალდამცავ ორგანოებში მონაცემთა არაკანონიერ დამუშავებას.



გამოვლენილ სამართალდარღვევათაგან, სამსახურმა ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმა და გაფრთხილება გამოიყენა 690 შემთხვევაში. სახდელის სახით დაკისრებული 75 ჯარიმა მიემართებოდა 2024 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს), ხოლო 300 — საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს). დაკისრებული 315 გაფრთხილებიდან, 27 მიემართებოდა 2024 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ, ხოლო 288 — საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს).



სამსახურის მიერ გაცემული დავალებები და რეკომენდაციები

გარდა ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისა, აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, სამსახურმა საჯარო დაწესებულებებისთვის და კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის, სამართალდამცავი ორგანოებისთვის გასცა 1053 დავალება[2] და რეკომენდაცია.[3] გაცემული 1025 დავალებიდან, 121 მიემართებოდა 2024 წელს დაწყებულ და საანგარიშო პერიოდში დასრულებულ, ხოლო 904 — საანგარიშო პერიოდში დაწყებულ და დასრულებულ შემოწმებებს (ინსპექტირებებს). გაცემული 28 რეკომენდაციიდან, 7 მიემართებოდა 2024 წელს დაწყებულ, ხოლო 21 საანგარიშო პერიოდში დასრულებულ შემოწმებას (ინსპექტირება). გაცემული 1053 დავალებიდან და რეკომენდაციიდან 77% (814) მიემართებოდა კერძო სექტორს, 14% (151) — საჯარო დაწესებულებას, ხოლო 9% (88) — სამართალდამცავ ორგანოს.

[2] **დავალება** არის სამსახურის მიერ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის წერილობითი ფორმით მიცემული შესასრულებლად სავალდებულო მითითება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ.

[3] **რეკომენდაცია** არის სამსახურის მიერ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის ან/და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისთვის წერილობითი ფორმით მიცემული რჩევა მონაცემთა დამუშავების პროცესში დარღვევების რისკების შემცირების მიზნით.



მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტი) შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „წ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინციდენტი წარმოადგენს მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევას, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ეკისრება ვალდებულება აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.[4]

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის (ინციდენტი) თაობაზე მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისგან მიიღო ჯამში 35 შეტყობინება.

[4] „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, 29-ე მუხლის პირველი პუნქტი.

სამსახურის მიერ გაცემული კონსულტაციები

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების საკითხებზე სამსახური ასევე ახორციელებს საკონსულტაციო საქმიანობას. კონსულტაციები გაიცემა ზეპირი (სატელეფონო და პირადი შეხვედრების ფორმატში) და წერილობითი ფორმით.

გაცემული კონსულტაციების ჯამური რაოდენობა

8693

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლი

სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლი. სამსახური ზედამხედველობას უწევს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[1] მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს ამავე კოდექსის XVI[1] თავით გათვალისწინებული ნორმების დაცვის ფარგლებში.

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობის კონტროლის მიზნით, სამსახურს 24-საათიანი რეჟიმით მიეწოდება სასამართლოს განჩინებების რეკვიზიტები და სარეზოლუციო ნაწილი ასეთი მოქმედებების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში — პროკურორის დადგენილებების რეკვიზიტები და სარეზოლუციო ნაწილი ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შედგენილი ოქმები. სამსახური, ასევე, იღებს შეტყობინებებს, რომლებიც ასახავს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა გადაცემას სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

სამსახური ამოწმებს მიღებულ დოკუმენტებს, ადარებს ელექტრონულ სისტემებში ასახულ ინფორმაციას, დოკუმენტაციაში ასახული მონაცემები შეაქვს ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვის შიდა ელექტრონულ სისტემაში და აანალიზებს მათ.

ზემოაღნიშნული მექანიზმების გარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების — სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მონიტორინგისთვის, სამსახური იყენებს კონტროლის ელექტრონულ და სპეციალურ ელექტრონულ სისტემებს, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლისათვის გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემა.

შეჩერების მექანიზმი

სამსახურმა სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის შეჩერების მექანიზმი (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) 116 შემთხვევაში გამოიყენა, რომელთაგან 112 გამოწვეული იყო სასამართლოს განჩინების დაგვიანებით წარმოდგენით, 1 ფარული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობით, ხოლო 3 — ფარული საგამოძიებო მოქმედების შეწყვეტით.



სხვა სტატისტიკური ინფორმაცია

- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ სასამართლომ განიხილა 813 შუამდგომლობა, რომელთა 77% (625) სრულად დაკმაყოფილდა, 14% (114) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 9% (74) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 212 შუამდგომლობა, რომელთაგან დაკმაყოფილდა 86% (181), 3% (7) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 11% (24) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების შესახებ სასამართლომ განიხილა 1237 შუამდგომლობა, რომელთაგან 89% (1096) სრულად დაკმაყოფილდა, 9% (109) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 2% (32) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- ფარული ვიდეოჩაწერის ან/და აუდიოჩაწერის, ფოტოგადაღების ვადის გაგრძელების შესახებ სასამართლომ განიხილა 141 შუამდგომლობა, რომელთა 87% (123) დაკმაყოფილდა, 9% (13) არ დაკმაყოფილდა, ხოლო 4% (5) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.
- საანგარიშო პერიოდში, სასამართლომ, ფარული საგამოძიებო მოქმედების — კავშირგაბმულობის არხებიდან, კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის მოხსნისა და ფიქსაციის თაობაზე განიხილა 1 შუამდგომლობა, რომელიც დაკმაყოფილდა.
- საანგარიშო პერიოდში სასამართლოს ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების თაობაზე შუამდგომლობა არ განუხილავს.
- ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვების ვადის გაგრძელების თაობაზე სასამართლოს შუამდგომლობა არ განუხილავს.
- სამსახურს წარედგინა გადაუდებელი აუცილებლობით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ პროკურორის 162 დადგენილება, რომელთაგან 86% (139) შეეხებოდა ფარულ ვიდეოჩაწერას ან/და აუდიოჩაწერას, ფოტოგადაღებას, 14% (23) შეეხებოდა სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადებასა და ჩაწერას.
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს წარედგინა სასამართლოს განჩინებები და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე პროკურორის დადგენილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედების, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. კოდექსის 136-ე მუხლთან დაკავშირებით წარდგენილი დოკუმენტებიდან (2380) პროკურორების დადგენილებათა რაოდენობამ შეადგინა 4% (97), ხოლო სასამართლოს განჩინებებმა 96% (2283). სასამართლოს 2275 განჩინება სრულად დაკმაყოფილდა, 6 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 2 არ დაკმაყოფილდა.
- სსიპ „საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოსთვის“ სასამართლოს მიერ სატელეფონო კომუნიკაციის ფარულ მიყურადება-ჩაწერაზე გაცემულ ნებართვებთან

მიმართებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ბუნდოვანება-უზუსტობის შეტყობინების მექანიზმი გამოიყენა 7 განჩინების მიმართ.

- კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის პროცესში გამოვლინდა 2 ინციდენტი.
- ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკიდან სსიპ ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ მონაცემები სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე გაიცა 69-ჯერ.
- ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობათა კონტროლის შედეგად რაიმე ხარვეზი ან ინციდენტი არ გამოვლენილა.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა

ექსპერტიზის ფარგლებში სამსახური შეისწავლის წარმოდგენილი საერთაშორისო შეთანხმების პროექტს, შეთანხმების მხარე სახელმწიფოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო და ინსტიტუციურ მექანიზმებს, რის საფუძველზეც, გაიცემა შეთანხმების პროექტში ცვლილებების განხორციელების რეკომენდაცია.

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა ჩაატარა 19 საერთაშორისო შეთანხმების პროექტის ექსპერტიზა. რეკომენდაცია გაიცა 6 შემთხვევაში, ხოლო არ გაცემულა 13 შემთხვევაში.

საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა

19

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები

სამსახური აქტიურად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას მონაცემთა დამუშავებასა და დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, სამსახური სისტემატურად ატარებს საჯარო ლექციებს, საინფორმაციო შეხვედრებსა და ტრენინგებს კერძო და საჯარო სექტორის, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის.

სამსახურმა მონაცემთა სუბიექტებისა და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირებისთვის ჯამში ჩაატარა 69 შეხვედრა 5047 დამსწრე პირთან. მათგან 49 შეხვედრა ჩატარდა სკოლის 1874 მოსწავლესთან ახალი პროექტის: „კონფიდენციალურობის გაკვეთილების“ ფარგლებში.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ 2025 წლის ანგარიში

/2024 წლის 11 დეკემბერი - 2025 წლის 10 დეკემბერი/

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, დოკუმენტში ასახულია ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ, 2024 წლის 11 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და პერსონალურ მონაცემთა დამუშავების თაობაზე.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

2024 წლის 11 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე 256 მოთხოვნა შემოვიდა, საიდანაც 210 შემთხვევაში მოთხოვნა დაკმაყოფილდა სრულად, ხოლო 44 შემთხვევაში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რადგან:

- 29 შემთხვევაში ინფორმაცია არ იყო მოთხოვნილი კანონით განსაზღვრული ფორმით, რის გამოც დადგინდა ხარვეზი, რომელიც განმცხადებლების მიერ არ შეივსო. შესაბამისად, მოთხოვნები დარჩა განუხილველად, ხოლო განმცხადებლებს გაეცათ დასაბუთებული პასუხები და განემარტათ გასაჩივრების წესი;
- 9 შემთხვევაში მოთხოვნილი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში არ იყო დაცული;
- 4 შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვდა წარმოების მასალას და არ ჰქონდა მხარის სტატუსი მინიჭებული;
- 1 შემთხვევაში მოთხოვნილი გადაწყვეტილება არ გაიცა, რადგან კომერციულ საიდუმლოდ ცნობის წარმოება მიმდინარე იყო;
- 1 შემთხვევაში მოთხოვნა არ იყო დაკონკრეტებული.

საანგარიშო პერიოდში შემოსული 2 მოთხოვნა განხილვის პროცესშია.



საჯარო ინფორმაციაზე უარის გასაჩივრება

2024 წლის 11 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, საჯარო ინფორმაციის გაცემის 44 მოთხოვნაზე მიიღო უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება, რომელიც არ გასაჩივრებულა.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა

2024 წლის 11 დეკემბრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სამსახური ეყრდნობა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 29 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტს“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების სამსახურის თანამშრომელთა მიერ დარღვევის შემთხვევა არ გამოვლენილა. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხზე სამსახურის არცერთი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოება არ ჩატარებულა.

ხარჯები

- ✓ საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის ხარჯმა შეადგინა 0 (ნული) ლარი (დოკუმენტები მოთხოვნილი და გადაცემული იქნა ელექტრონული ფორმით).
- ✓ გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯი არ წარმოშობილა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი იყო: 2024 წლის 11 დეკემბრიდან 2025 წლის 12 აგვისტოს ჩათვლით — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ლიკა კობალაძე; 2025 წლის 13 აგვისტოდან 29 აგვისტოს ჩათვლით — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იურისტი, ნათია სორდია; 2025 წლის 30 აგვისტოდან დღემდე — პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ლიკა კობალაძე.

შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემის/გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა/იღებს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი/უფროსი იურისტი.

საჯარო მონაცემთა ბაზები და პერსონალურ მონაცემთა დამუშავება

- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ვებგვერდზე (pdps.ge) განთავსებულია გადაწყვეტილებები (https://pdps.ge/ka/content/980/gadawyvetilebebi), სადაც ისინი გასაჯაროებულია ფიზიკურ პირთა და კერძო სამართლის იურიდიული პირების იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლებისა და პრინციპების შესაბამისად, ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების/ნებართვების განხილვისა და საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული სხვა უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიცავს განმცხადებელთა და მესამე პირთა პერსონალურ მონაცემებს, მესამე პირებს გადაეცემათ მონაცემთა სუბიექტის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.
- ✓ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა შესაძლებელია ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც — office@pdps.ge და foi@pdps.ge.